ცნობის ფურცელი

№ 2113 ოთხშაბათი, 2 აპრილი 1896—1903 ყოველ-დღიური გაზეთი № 2113

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისაგან.

დღეს, 2-ს აპრილის, საღამოს 8 საათზე, ამხანაგობის სადგომში (ვანქის ქუჩაზე) დანიშნულია

ამხანაგობის წევრთა

საზოგადო კრება

(ნაცვლად იმ კრებისა, რომელიც 28 თებერვალს არ შესდგა).

განსახილველი:

1) ანგარიშები წარსულის წლებისა; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა; 4) სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.

კრებას დაესწრებიან მხოლოდ სრული წევრნი ამხანაგობისა (3—3)

სასტუმრო „იალტა" ნომრებითურთ

(ყოფილი ხახადილო)

მართლ-მადიდებელთა სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩის კუთხეში.

სასტუმროსთან საუკეთესო სამზარეულო და ბუფეტია. არის როგორც ევროპიული, ისე აქაური ღვინოები. მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. თვალ-ყურს ადევნებს თვით სასტუმროს პატრონი.

სადილი 12-დან ნაშუადღევის 5 საათამდე, ვახშამი 6-დან 12 საათამდე. სადილი—ორი კერძი, ერთი ჭიქა არაყი, ერთი ჭიქა ღვინო და ყავა—ღირს 50 კაპ., უსასმელებოდ—30 კაპ. სამ და ოთხ კერძიანი სადილიც შეიძლება ხელ-მისაწვდენ ფასად.

სასტუმროს პატრონი

(3—63—3) ს. მ. მიხაელიანცი.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

ზედგენიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

მ. ი. ტიტინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

მ. დ. დამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ზ. ზ. მადლაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდეს (ქირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ.ოთხშ. და შაბათი $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.

დ. ა. ზედგენიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვების და ბავშვების: კვირაობით 10—12.

გ. გ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანის და საშარდეს 1—2 საათამდე.

მრ. მ. ხობოლოვსკაია—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. ზ. მადლაშვილი—შინაგანი, ბავშვების და ქალების ავად. 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **გ. დ. ნასარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წ.

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. მკითხველს ეხსომება, რომ ამას წინად, სანამ მაკედონიის საქმე დღევანდელ უკიდურეს გამწვავებამდე არ იყო მისული, რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ლამსდორფი მოგზაურობდა ბალკანეთსა და ავსტრიაში. სოფიაში ყოფნის დროს რუსეთის-მინისტრთან ყოფილან, სხვათა შორის, მაკედონიის უმთავრეს კომიტეტის წარმომადგენელნი და წარუდგენიათ თავიანთი პროექტი რეფორმებისა მაკედონიის დასამშვიდებლად და დასაწყნარებლად. ეს პროექტი დაახლოვებით შემდეგის შინაარსისა იყო:

1) სოლუნის, მონასტირის და უსკიუბის ვილაიეტები (ოლქები) შეადგენენ ერთ პროვინციას; პროვინციის უმთავრესი ქალაქი სოლუნია (სალონიკი).

2) ევროპის სახელმწიფოების რჩევითა და თანხმობით ინიშნება პროვინციის გუბერნატორი ქრისტიანთაგან; მომავალ გუბერნატორს წინად არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონებოდეს ოსმალეთის ადმინისტრაციასთან.

3) ახალ პროვინციის ფინანსიურ საქმეების მართვა-მოვლაში გუბერნატორს ეხმარება პროვინციის კრებული; კრებულის წევრებს ირჩევს პირდაპირ ხალხი. პროვინციის ყველა მოხელეს ჰნიშნავს გუბერნატორი.

4) წეს-რიგის დასამყარებლად და დასაცველად შედგენილი იქმნება სამილიციო კორპუსი ადგილობრივ მკვიდრთაგან; კორპუსი ემორჩილება პირდაპირ გუბერნატორს.

5) პროვინციის ყველა დაწესებულებაში უმთავრესი ადგილობრივი ენები და ოსმალური ენა ერთის უფლების არიან. თითეული ადმინისტრატიული დაწესებულება თვითონვე გადასწყვეტს, თუ რომელი ენა იხმაროს ოფიციალურ მოხსენებისათვის.

6) სრული ამნისტია ყველა დასჯილ და დასასჯელ პოლიტიკურ დამნაშავეთა და აგრეთვე ემიგრანტებისა.

7) აღნიშნული რეფორმა შემოღებულ უნდა იქმნას ევროპიელების კომისიის მიერ საერთაშორისო სამხედრო ძალის დახმარებით.

შენიშვნა. ასეთივე რეფორმა შემოღებულ უნდა იქმნას ადრიანოპოლის ოლქშიაც.

◆ ალბანიის თავის ტახტის მძიებელი ჰყავს თავადი ოანე დ'ალდრადო კასტრიოტა. ერთ ინგლისურ გაზეთის კორესპონდენტს ულაპარაკნია ტახტის მაძიებელთან ალბანელების შესახებ და შემდეგ ცნობებს იტყობინება: დიდი განსხვავებაა ალბანიის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებ შუა; სამხრეთ ალბანიაში ოსმალეთის მთავრობამ გაგზავნა აგენტები, რომ აჯანყება გამოეწვია რეფორმების წინააღმდეგ და შემდეგ თავის ჯარების საშუალებით დიდი შიში გამოეწვია. ჩრდილოელი ალბანელები უცოდინარობის გამო დარწმუნებულნი არიან, რომ კარგად იქცევიან, როცა რეფორმების შემოღებას ეწინააღმდეგებიან. მაგრამ ყველა ალბანელები მზად არიან, რომ ოსმალეთს მოშორდნენ.

ალბანია მეტად ნაყოფიერი და მდიდარი ქვეყანა არისო, უთქვამს ტახტის მაძიებელს; თვითონ ალბანელები კეთილი ხალხია და არა ავაზაკობის მოყვარულიო. „როცა ალბანიის მთავარი გავხდები, ხალხის განათლებას ვეცდები; ამ საქმეში დამეხმარება სამი პრინცი, მათ შორის პრინცი ხაიმე ბურბონელიც. აჯანყების დრო დადგება მაშინ, როცა მაკედონია და ბოლგარია ხმალს იშიშვლებენ ოსმალეთის წინაიღმდეგ; საჭიროა, რომ საქმე ამ ორმა ქვეყანამ დაიწყოს."

გერმანია. ყველამ იცის, რომ მოხელე ხალხი სარგებლობს უფლებით წელიწადში ერთი თვე თავისუფლად, მოსვენებით იყოს და ისე იცხოვროს, როგორც სურს. ასეთი საზრიანი წესი შემოღებულია იმიტომ, რომ გამუდმებული შრომა აუტანელია ადამიანისათვის—სხეული მოსვენებას, ცხოვრების გამოცვლას თხოულობს აუცილებლად.

მაგრამ ვინ უფრო საჭიროებს ასეთ წესს, მოხელე თუ მუშა, რომლის ყოველდღიურ ცხოვრების პირობები ათას წილ უარესია, ვიდრე მოხელისა? რასაკვირველია, მუშა უფრო საჭიროებს, მაგრამ სწორედ მისთვის არ არსებობს იგი... მხოლოდ ეხლახან შემოდის ჩვეულებად დაწინაურებულ ქვეყნებში, რომ მუშასაც მისცენ საშუალება ცოტა მოისვენოს თავის მძიმე და ერთფეროვან შრომისაგან.

ბერლინში პირველად შემოიღო მუშის ჯამაგირით დათხოვნა დასასვენებლად და

ფელეტონი

მიწის სიმცირე ჩვენს გლეხობაში და საგლეხო ბანკის საჭიროება

(დასასრული *)

ყოველი ზომა ანუ საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობს საიჯარო ქირის დაწევას და მიწათ-მომქმედის მიწის მესაკუთრედ გახდომას, რომელიც მშრომელს დაეხმარება შრომის იარაღის (მიწის) შეძენაში, უნდა ჩაითვალოს ხალხის უმრავლესობისთვის სასარგებლოდ და სასურველად. ერთ ასეთ სასარგებლო საშუალებად მე მიმაჩნია საგლეხო ბანკის განყოფილების დაარსება ჩვენში.

მიზანი საგლეხო ბანკისა, რომელიც 20 წელიწადია, რაც რუსეთში არსებობს, მდგომარეობს იმაში, რომ გლეხებს მიწების შეძენაში დაეხმაროს. ამისთვის იგი აძლევს გლეხებს სესხს მცირე სარგებლით მიწის საყიდლად და ამ ნაყიდ მიწას იგირავებს. აძლევს აგრეთვე გლეხებს სესხს იმ მიწების დაგირავებითაც, რომლებიც მათ საგლეხო ბანკის დაუხმარებლად უყიდიათ, რომ ამით გლეხებმა მიწის ყიდვისთვის აღებული ვალი გაისტუმრონ. გარდა ამისა თვითონ ბანკიც ყიდულობს თავისი კაპიტალით მიწებს და შემდეგ ამ მიწებს ყიდის, რამდენადაც ეს მოსახერხებელი იქმნება, ისევ გლეხებზე.

როგორც ხედავთ, მიზანი ბანკისა სიმპატიური და თანაგრძნობის ღირსია. აგერ 20 წელიწადია, რაც ეს სიმპატიური საკრედიტო დაწესებულება რუსეთში არსებობს, და დღემდი მისი მოქმედება კავკასიას არ შეეხება,—საგლეხო ბანკის მოქმედების ასპარეზიდან კავკასია გამორიცხულია. ამიტომ იყო, რომ ამას წინად ჩემს მოხსენებაში ვთხოვე „სამეურნეო საზოგადოებას" აღეძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ ტფილისში დაარსებულ იქმნას ამ ბანკის განყოფილება, რომელმაც უნდა იმოქმედოს არარაიმე პოლიტიკურ მოსაზრებათა განსახორციელებლად, არამედ კავკასიის მკვიდრთა ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. წინადადება მიღებულ იქმნა. არც ერთს იქ დამსწრეთაგანს არ დაუწყია იმის მტკიცება, რომ საგლეხო ბანკი მავნე ან უსარგებლოაო. ასეთი აზრი არ გამოთქმულა არც გაზეთებში,—მხოლოდ გამოითქვა ერთად-ერთში, ისიც ქართულში. ეს გახლავთ გაზეთი „კვალი".

ამ გაზეთის №№ 11 და 12-ში დაბეჭდილია წერილი ბ-ნ ნ—ელისა შემდეგი სათაურით: „მიწის სიმცირე ჩვენს გლეხობაში", რომელიც თავის კრიტიკულ ნაწილში ეხება საგლეხო ბანკს და, წინააღმდეგ ჩემის აზრისა, უარს ჰყოფს მის სარგებლობას. ამ ბანკის დაარსება ჩვენში ხსენებულ წერილის ავტორს უსარგებლოდ და თითქმის საზარალოდაც მიაჩნია, თუმცა „სამართლიანობის" პრინციპის საფუძვლით შესაძლებლად სცნობს აღძრულ შუამდგომლობას თანაუგრძნოს. იგი სწერს: „რაც შეეხება ადგილობრივ მკვიდრთა და შიდა გუბერნიების მცხოვრებთა ინტერესების ერთნაირათ, თანასწორად დაცვას, ჩვენ, რასაკვირველია, ყოველთვის ამისი მომხრე ვართ და ვიქნებით. თუ, მაგალითად, საგლეხო სახელმწიფო ბანკი სასურველად და სასარგებლოდ არის ცნობილი რუსის გლეხობისთვის, რატომ ჩვენებურები უნდა იყვნენ მოკლებული მის სარგებლობას? რა მოსაზრებით შეიძლება აცილოთ დახმარება ერთ ენაზე მოლაპარაკე გლეხობას, რომელიც მეორესთვის სასარგებლოდ არის ცნობილი? ვიმეორებთ, ყოველი ზომა, რომელიც-კი ასეთ განსხვავებას უარ ჰყოფს, ჩვენ სასურველად კი არა, აუცილებლად მიგვაჩნია, და მისი მოთხოვნა სამართლიანობის მოთხოვნაა".

აქ ცოტა აზირებული ლოღიკა მელავნდება, მაგრამ რა გაეწყობა. მგონია მაინც, რომ თვითონ ავტორიც მიმხვდარია ამას. შიდა გუბერნიებში „ისპრავნიკი" გლეხს როზგსა სცემს, რადგან როზგი სასარგებლო აღმზრდელ საშუალებად მიაჩნია. ნუ თუ ჩვენც ავდგეთ და ვითხოვოთ თავის გაროზგვა იმ „სამართლიანობის" პრინციპის საფუძვლით, რომ, თუ როზგი „სასურველათ და სასარგებლოთ არის ცნობილი რუსის გლეხობისათვის, რატომ ჩვენებურები უნდა იყვნენ მოკლებული მის სარგებლობასო"? არა მგონია, რომ ასეთ თხოვნისა და შუამდგომლობისთვის ჩვენმა გლეხებმა მადლობა გვითხრან... რამდენსამე სტრიქონს ქვევით ბ-ნი ნ—ელი ამტკიცებს საგლეხო ბანკის, თუ მავნებლობას არა, სრულს უსარგებლობას მაინც და იმავე დროს თხოულობს ამ უსარგებლო დაწესებულების დაარსებას ჩვენში. მე მაინც ბ-ნ ნ—ელის მხარეზე მირჩევნია დავინახო ლოღიკა, ვინემ ულოღიკობა და ამიტომ, მგონია, თვითონაც დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ იგი, მიუხედავად „სამართლიანობის" პრინციპისა, წინააღმდეგია დაარსდეს ჩვენში საგლეხო ბანკი, ვითარცა დაწესებულება უსარგებლო და გამოუსადეგარი.

რომ საგლეხო ბანკი უსარგებლო და საზარალოცაა, ამას ბ-ნი ნ—ელი ამტკიცებს შემდეგი სიტყვებით, რომლებიც იმას გაზ. „Русск. Вѣд."-იდან აქვს ამოწერილი: „ერთათ-ერთი მოვლენა, რომელიც უნდა გვაშინებდეს მომავლისთვის, არის შეუჩერებელი ზრდა ბანკის დაფასებისა და გაცემული სესხებისა. ყოველ წელს მატულობს დაფასება, მატულობს სესხი და გლეხები თავის განკარგულებაში იღებენ მიწებს ისეთ ფასებით, რომელნიც ერთობ დიდათ უნდა იქნენ ცნობილნი. უკანასკნელ ხანებში უფრო და უფრო ხშირად ისმის ფასების უზომო აწევაზე ლაპარაკი... უმთავრესი მოტივი (ფასების

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 2112.

ახალ ძალის მოსაკრებად ცნობილმა მეცნიერმა შპინდლერმა. მას მიბაძეს სხვებმა და ეხლა ბევრგან არის ასეთი წესი. ქალაქის დაწესებულებაშიაც შემოიღეს იგი, მაგრამ მხოლოდ ისეთ მუშებისათვის, რომელთაც ათ წელიწადზე ნაკლები არ უმსახურიათ. სოციალ-დემოკრატიის ხმოსნებმა მოითხოვეს, რომ ათი წლის მაგიერ ერთი წლის სამსახური ყოფილიყო დაწესებული, მაგრამ საბჭოს უმრავლესობა წინააღმდეგი იყო და ბოლოს ხუთ წელზე შეთანხმდნენ. მაინც და მაინც დიდ ხარჯს არ იწვევს ეს წესი—ბერლინს დაუჯდება იგი წელიწადში 82 ათას მარკად. სოციალ-დემოკრატიის წინადადება რომ გასულიყო, მაშინ ხარჯი 152 ათასი იქნებოდა, რაც დიდი არის ბერლინის ას მილიონიან ბიუჯეტისათვის.

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 1 აპრილს, ქალაქის გამგეობის სადგომში, ხმოსანთა, გამგეობის წევრთა და თვითმმართველობის მოხელეთა თანადასწრებით ტფილისის ქალაქის ახალმა მოურავმა თავ. ნ. გ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა ფიცი მიიღო. დღეიდან თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი შეუდგება თანამდებობის აღსრულებას.

◆ პარიზიდან გვწერენ: 4 აპრილს პარიზის საანტროპოლოგიო საზოგადოების კრებაზედ ჩვენმა თანამემამულემ ბ-მა თ. სახოკიამ ფრანგულად წაიკითხა საეტნოგრაფიო მოხსენება ამ სათაურით: „Le culte de la petite vérole en Géorgie“ (ყვავილის (ბატონების) თაყვანისცემა საქართველოში). მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო საზოგადოების წევრთ, რა ნაირის წარმოდგენისანი არიან საქართველოში (განსაკუთრებით დასავლეთ პროვინციას, სამეგრელოში) ყვავილის შესახებ, რა საშუალებასა ხმარობენ ამ ავადმყოფობის მოსარჩენად. დასასრულ გაიყვანა პარალელი, რომელიც არსებობს როგორც ქართველთა, ისე სხვა ერთა შორის ამა თუ იმ სარწმუნოების ჩასახვის დროს და განმარტა პირვანდელის ფორმის სარწმუნოება—ანიმიზმი, როგორ იქცევა ხოლმე ანტროპომორფიზმად და რომ საქართველოში, მიუხედავად მისის 3000 წლის ისტორიულ ცხოვრებისა, მიუხედავად მე IV საუკუნეში ქრისტეს მოძღვრების აღიარებისა ქართველ ერის მიერ, მიუხედავად საკმაოდ მდიდარ ქართულ მწერლობისა, ძველისა თუ ახალისა, ასეთმა ფორმამ სარწმუნოებისამ დღემდე როგორ შეინახა თავი.

ამ მოხსენების შესახებ ილაპარაკა საანტროპოლოგიო სკოლის პროფესორმა, ბ-მა ზაბოროვსკიმ, და, სხვათა შორის, აღნიშნა, რა მწირი ცნობანი მოიპოვებათ ევროპიელთ ქართველთა შესახებ და საინტერესოდ ჩასთვალა ეს მოხსენება ქართველთა ერის სარწმუნოებრივის განვითარების გასაცნობად.

ეს მოხსენება ბ-ნ სახოკიასი დაბეჭდილი იქმნება საანტროპოლოგიო საზოგადოების ორგანოში „Bulletins et Mémoires de la Société d'Anthropologie de Paris.“

◆ ტომსკიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „დიდად დაგვაღონა ძვირფას პოეტის გრიგოლ აბაშიძის გარდაცვალებამ. ვწუხვართ ახალგაზდა ნიჭის უდროოდ დაკარგვას. ტომსკის ქართველები“.

◆ ამას წინად კავკასიის საზეითლო ნაწილის გამგეობა შეეკითხა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რა მიზეზია, რომ დღევანდლამდე ქალაქში საკლავ საქონლის გაჭრობა არ არის რიგიანად მოწყობილიო. ქალაქის ზეითლმა ამის გამო ვრცელი განმარტება წარუდგინა ქალაქის გამგეობას, სადაც აღნიშნავს მიზეზებს საკლავ საქონლის ვაჭრობის მოუწესრიგებლობისას. სხვათა შორის, ერთ უმთავრესს მიზეზად ზეითლი ასახელებს ქალაქის სათივე და საქონლის სადგომ ბაკების ჯეროვანად მოუწყობლობას და შემდეგ „ოინებს“ დალალებისას. ზეითალის აზრით, ვაჭრობის მოსაწესრიგებლად საჭიროა: 1) დაჩქარდეს სათივე მოედნის გაკეთება; 2) ბაკების მოწყობის შემდეგ აიკრძალოს სხვაგან სადმე ქალაქში საქონლის ვაჭრობა; 3) გამოიცეს სავალდებულო დადგენილებანი, რომლის ძალითაც დალალებს უნდა აეკრძალოთ რამე მონაწილეობის მიღება საქონლის ვაჭრობის საქმეში; 4) ამავე სავალდებულო დადგენილებით ქალაქის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტებს დაევალოთ თვალ-ყური ადევნონ, რომ ყასბებმა დროზედ გადაუხადონ საქონლის პატრონებს კუთვნილი ფული და 5) გადადებულ იქმნას საჭირო ფული ორის ცხენოსან დარაჯის დასაქირავებლად; ამ დარაჯებმა თვალ-ყური უნდა ადევნონ, რომ სავაჭრო ბაკს გარეშე არავინ გაჰბედოს საკლავს საქონლით ვაჭრობა.

◆ განჯის ქალაქის გამგეობამ სთხოვა გუშინ ტფილისისას გაუგზავნოს პირი სენატის იმ განმარტებისა, რომლის ძალითაც იქ, სადაც ერობა არ არის, ქალაქის მიწებს საერობო გარდასახადი არ გაეწერება. სენატის ამ განმარტებით შეუძლიან ისარგებლოს კავკასიის ყველა ქალაქებმა.

◆ 25 მარტს, როგორც „ნოვ. ობოზ.“ ს ატყობინებენ, შაათურაში დაუარსებიათ მომრიგებელი სასამართლო.

◆ ორშაბათს, 31 მარტს, მოხდა კრება ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულებისა. მოქალაქეთა მოურავმა სთხოვა კრებას, ხარჯის ამკრებ მამასახლისს მიეცეს გასამრჯელოდ ერთდროულად 400 მან. კრებამ კამათის შემდეგ გარდასწყვიტა ეს საქმე გადაეცეს სარევიზიო კომისიას. შემდეგ კრებამ განიხილა სარევიზიო კომისიის განცხადება. იგი ეხება იმ დროის საქმეებს, როდესაც მოურავად ე. ედიგაროვი იყო. განცხადებაში კომისია აღნიშნავს, რომ აღმოაჩინა ბევრი ბოროტ-მოქმედება. მაგ. 1902 წლის 3 თებერვლისათვის, როგორც დავთრებიდანა სჩანს, წინა წლისა დარჩენილი ყოფილა სულ 1298 მან. ეს ფული დღეს გავლანგულია. ამ განცხადების განხილვის დროს კომისიის თავმჯდომარემ ზალიევმა წინადადება მისცა კრებას, დააჯილდოვოს დიდის შრომისათვის სარევიზიო კომისიის წევრნი. კრებამ, კარგა ხანს კამათის შემდეგ, ეს საგანი კომისიას გარდასცა.

◆ „ნოვოე ობოზრენიე“-ს შეუტყვია, ჩვენი მხრის რკინის გზათა უფროსად ყოფილის ინჟენერ ე. დ. გედენევის ქვრივისათვის მთავრობას გადაუწყვეტია ერთ-დროულად 15 ათას მანეთის მიცემა და ყოველწლიურად სამი ათასი მანეთი პენსია.

◆ ავლაბარში ადგილობრივი სახლის პატრონი გარშამოვი ახალ თეატრს აშენებს თურმე. თეატრში, როგორც „ნოვ. ობ.“-ს გაუგია, 500 კაცის ადგილი იქმნება. გაანათებენ ელექტრონით. თეატრი გარშამოვს ეხლავე მიუცია იჯარით არტისტ არაქელიანისთვის. ამ უკანასკნელს აზრადა აქვს რუსულ, სომხურ და ქართულ წარმოდგენების გამართვა. ახალი თეატრი სექტემბრისთვის იქმნება მზად.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობას გაუგზავნოს ანგარიში იმ 70,000 მანეთისა, რომელიც ქალაქმა სესხად აიღო ცეცხლის მქრობელ რაზმის თავშესაფარის ასაგებად.

◆ ამას წინად მეორე დასის თავშესაფარის გამგე ბ. მ. კლიმიაშვილი შეეკითხა თავშესაფარების კომისიას, უნდა დაიკეტოს თუ არა თავშესაფარის დიდუბის განყოფილებაო. კომისიამ ეს მოხსენება განიხილა და გადასწყვიტა დიდუბის თავშესაფარი დასტოვოს ჯერ კიდევ და გადასდოს იმის შესანახად 270 მან.

◆ ითხვისის სკოლის მასწავლებელი ანნა წერეთელი გვთხოვს დავბეჭდოთ: „გულითად მადლობას ვუცხადებ კონსტანტინე იოსების ძე აბდუშელიშვილს, რომელმაც გამოუწერა ერთის წლით ითხვისის სამრევლო სკოლას საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ და ას-თუმან-თექვსმეტი რვეული.“

◆ როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, ადგილობრივ სადგურის კასირის კალანდაძისათვის ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ 660 მანეთი მოუპარავთ.

◆ ყარსის შტოს ყარაიალიდან გვატყობინებენ: 31 მარტს მე-241 ვერსზე ჩამოწვა დიდი ქვა, რომელმაც გზა შეჰკრა. მატარებელმა № 72 ამის გამო 5 საათი შეიგვიანა გზაში.

◆ აქსტაფიდან გვწერენ: 31 მარტს რკინის გზის მე-382 ვერსზე, მატარებელმა № 202 გასჭყლიტა გორის მაზრის სოფელ ძვილეთის გლეხი კონსტანტინე გარსევანის ძე ტაბუნოვი.

რუსეთის ქრონიკა

◆ 20 მარტს გამოიცა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც ფინლიანდიაში პოლიციელთათვის ტანისამოსის ისეთივე ფორმა უნდა შემოიღონ, როგორც დანარჩენ რუსეთშია.

◆ 20 მარტს ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა დათხოვნილ იქმნას თანამდებობიდან ჰელსინგფორსის უნივერსიტეტის ვიცე-კანცლერი ბ-ნი რეინი. იმის ადგილზე დროებით დაინიშნა ამავე უნივერსიტეტის პროფესორი დანიელსონი.

◆ საერო განათლების მინისტრმა დაამტკიცა პროგრამა სატეხნიკო და საპროფესიონალო განათლების მოღვაწეთა მესამე კრებისა. აი, ზოგი მუხლი ამ პროგრამისა: 1) რა მდგომარეობაშია დღეს სატეხნიკო და სამრეწველო განათლება რუსეთში? 2) სატეხნიკო და საპროფესიანალო სწავლა-ცოდნის გავრცელება სკოლის გარეშე. 3) ხელ-საქმის მოწყობა სკოლებში. 4) სასკოლო ჰიგიენა და ფიზიკური განვითარება. 5) სატეხნიკო და საპროფესიონალო საგნების სწავლება მუშათა კურსებზე და სხვა.

◆ პეტერბურგის ქალაქის თვით-მმართველობას განუზრახავს დააარსოს განსაკუთრებული დამატებითი კლასები იმათთვის, ვინც პირველ-დაწყებით სკოლებს გაათავებს. ეს საგანი განუხილავს ქალაქის სასწავლებელთა კომისიას. კომისიის აზრით, დღევანდელი პირველ-დაწყებითი სკოლა მეტად ცოტა ცოდნას აწვდის მოსწავლეებს.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

ექიმი-დეზინფექტორი ი. ა. რაზამატი იმდენად მძიმედ ავად-მყოფია, რომ საზღვარ გარედაც-კი სჭირდება საექიმოდ წასვლა. ქალაქის საბჭოსა სთხოვა დროებით დათხოვნა ისე, რომ ჯამაგირიც შეენახოს და რამდენიმე ფულით შემწეობაც აღმოუჩინოს. საბჭომ ორივე სათხოვარი შეიწყნარა: ავადმყოფ ექიმს დროებით დათხოვნის დროსაც ჯამაგირი ეძლიოს და ერთდროულად ორმოცი თუმანი მიეცესო: ეს უკანასკნელი დახურულის კენჭით გადასწყვიტა საბჭომ დიდის ხმის უმეტესობით.

სახელოსნო სასწავლებლის დირექტორად ყოფილი ა. ი. ოჰანეზოვი (ამ ჟამად ხომ ბ-ნი პობედიმოვია მოწვეული ამ თანამდებობაზე) სთხოვდა საბჭოს: ამ წლის იანვრისა, თებერვლისა და მარტის ჯამაგირი არ მიმიღია ქალაქის გამგეობისაგან, მაშინ როდესაც ამ ხნის განმავლობაში სამსახურს ვასრულებდიო, ამიტომ გთხოვთ ჩემ ნამსახურობისაში გამისწორდეთო. გამგეობამ ამ სათხოვრის დაკმაყოფილებაზე თავისი თანხმობა მოახსენა საბჭოს—ბ-ნ ოჰანეზოვს ეკუთვნის სამის თვის ჯამაგირიო.

აწევისა) იყო სპეკულაცია, რომელიც ბოლოს და ბოლოს ისევე გლეხების ჯიბისკენ იყო მიმართული. ამ სპეკულატურ მოძრაობაში უმთავრეს როლს ასრულებდა და დღესაც ასრულებს სახელმწიფო საგლეხო ბანკი, რომლის დაფასებები და სესხები უცილობლად მეტად დიდათ უნდა იქნენ ცნობილი (კურსივი ბ-ნ ნ—ელისაა), თავის საკუთარი ანგარიშით ნაყიდი მიწების ყიდვაშიაც სრულიად შემთხვევითი ფასებით ხელმძღვანელობს ეს ბანკი და არა რამე რეალური მოსაზრებით... აი ასეთია იმ (საგლეხო) ბანკის მოღვაწეობა,—დასძენს თავის მხრით ბ-ნი ნ—ელი,—რომელსაც, მართალია, ვერ გაუმართლებია ის დიდი იმედები, რომელთაც მაზე ამყარებდნენ, მაგრამ მაინც მეტად დიდი (громадная) სარგებლობა მოუტანა რუსეთის გლეხობასო, ამბობს ბ. გოგიჩაიშვილი. საინტერესოა ვიცოდეთ, რაში გამოიხატა ეს დაუფასებელი (!) დახმარება“?

აქვე არ შემიძლიან ჯერ არ შევნიშნო სიტყვის პატარა გადასხვაფერება. მე არ მითქვამს, სარგებლობა, რომელიც გაუწია საგლეხო ბანკმა რუსეთის გლეხობას, დაუფასებელია მეთქი. მე ვთქვი მხოლოდ, რომ ეს სარგებლობა ძალიან დიდია, და ეს ერთი და იგივე არ გახლავთ. ერთი ხუთ სართულიანი სახლი, მაგალითად, გოლოვინის პროსპექტზე ძალიან დიდი ქონება იქნება, განსაკუთრებით ჩემისთანა და, შეიძლება, ბ-ნ ნ—ელისთანა ხელ-მოკლე კაცისათვის, მხოლოდ დაუფასებელი კი მაინც არა. მაგრამ ეს წვრილმანია.

უფრო საინტერესო და ყურადღების ღირსია ბ-ნ ნ—ელის აზრი საგლეხო ბანკის შესახებ. როგორც მკითხველი ხედავს, ეს აზრი შეიცავს შემდეგ ტეზისებს: თან-და-თან იზრდება მიწის ფასები; ამ ზრდას ხელს უწყობს თვითონ საგლეხო ბანკი, რადგან იგი დიდათ აფასებს მიწას და გლეხებს დიდ სესხს აძლევს. ამ გარემოების წყალობით ვითარდება მიწით სპეკულაციაც, — სპეკულატორები ბლომად ყიდულობენ მიწებს, რადგან იმედი აქვთ ადვილად გაჰყიდიან დიდ ფასებში გლეხებზე, რომლებსაც სესხს ბანკი აძლევს. ამ სახით გლეხის ხელში მიწა ძალიან ძვირად გადადის, ასე რომ იგი იმისთვის საზარალო და გამნადგურებელი ხდება. რამდენად არის სწორი და მართალი ეს შეხედულება?

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ მიწის ფასი რუსეთში (და ჩვენშიაც!) თან-და თან მატულობს. ეს მტკიცდება სტატისტიკური ციფრებითაც. დესეტინა მიწის საშუალო ფასი იყო რუსეთში მე-60 წლებში 28 მან., მე-70 წლებში 45 მან., 1883 წელს 68 მან., 1889 წ. 71 მან., 1897 წ. 71 მან., 1898 წ. 76 მან., 1899 წ. 78 მან. და 1900 წ. 83 მან. ისიც მართალია, რომ ახალ წესდების გამოცემის შემდეგ (1895 წ.) საგლეხო ბანკი, აწეულ ფასებთან შეთანხმებით, თვითონაც უფრო დიდად აფასებს მიწას და გლეხს ერთი დესეტინა მიწის სასყიდლად მეტ სესხს აძლევს, ვიდრე წინა წლებში აძლევდა. 1895 წლამდი ბანკი სულ სხვა პრინციპს ადგა. იგი ცდილობდა მიწა ნამდვილ ნასყიდობის ფასთან შედარებით ყოველთვის ბევრად ნაკლებ დაეფასებინა. მაგალ., გლეხი ყიდულობდა დესეტინას 60 მანათად, ბანკი აფასებდა ამ მიწას ოთხ-თუმნად და სესხადაც ოთხ თუმანს აძლევდა. დანარჩენი 20 მან. გლეხს თავის ჯიბიდან უნდა მიეცა გამყიდველისთვის. შედეგი ასეთი პოლიტიკისა იყო ის, რომ გლეხები საკმარისად მიწას ვერ ყიდულობდნენ, რადგან უჭირდათ დასამატ ფულის შოვნა და გამყიდველის დაკმაყოფილება. ხშირად ამ დასამატ ფულის საშოვნელად გლეხი მიმართავდა ხოლმე კერძო კაცის სესხს და ებმებოდა მევახშის ქსელში. ლ. ხოდსკის თავის წიგნში „Земля и землѣдѣлецъ“ (ტ. II, გვ. 268—269) აღნიშნული აქვს მაგალითები, რომლებიდანაც სჩანს, რომ გლეხებს ის ფული, რომელიც დაჰკლებიათ, ბანკის ხელ-მოჭერილობის გამო, მამულის გამყიდველის დასაკმაყოფილებლად, მევახშისგან აუღიათ 100 და 130%-ად. ამიტომ რუსის მწერლობაში (პონომარევი, ხოდსკი და სხვანი) ჰკიცხავდნენ ბანკის ასეთ პოლიტიკას და თხოულობდნენ, რომ მას, თუ სრული რეალური ფასი არა, უდიდესი მისი ნაწილი მაინც ეძლია სესხად გლეხებისათვის და ამნაირად შეემცირებინა მათთვის დასამატ საფასო ფულის რაოდენობა. ახალ წესდების გამოცემის შემდეგ ბანკმა შესცვალა ეს სახელმძღვანელო აზრი,—იგი უფრო დიდად აფასებს მიწას და გლეხს მიწის შეძენას უფრო უადვილებს. მაგრამ ამის გამო ახლა გაისმის აქა-იქ ჩივილი, რომ ბანკი მიწის ფასებს ხელოვნურად ადიდებს და გლეხები ზარალში შეჰყავსო.

ჩემის აზრით, ეს ბრალდება გადაჭარბებულია, თუმცა არ შეიძლება უარ ვჰყოთ, რომ ბანკს ჯერ მარტო თავისი არსებობით და მეორედ გადიდებულ დაფასებით რამდენიმედ გავლენა აქვს საზოგადოდ მიწის ფასების გადიდებაზე. თვით ბანკის არსებობა ნიშნავს იმას, რომ მიწას მუშტრები უჩნდებიან, გლეხები მისი შემწეობით მიწის ყიდვას იწყებენ მემამულეთაგან. ცხადია, მოთხოვნილების გადიდებასთან, მუშტრის გამრავლებასთან ერთად უნდა იმატოს მიწის ფასმაც,—მემამულენი, რადგან ხედვენ, რომ მყიდველები არიან, მამულს ფასს უმატებენ. აგრეთვე სპეკულანტებიც აჩერხებენ თავის „გეშეფტების“ მოწყობას; რადგან იციან, რომ გლეხს უჭირს მიწა და ამასთან შეუძლიან სესხის შოვნა, ყიდულობენ წინდაწინ მიწას და ჰყიდიან შემდეგ გლეხებზე ძვირად.

მაგრამ მარტო საგლეხო ბანკით და მისი დაფასების გადიდებით ვერ აიხსნება მიწის ფასების აწევა. ფასების აწევას სხვა უფრო ძლიერი მიზეზები აქვს. მაგალ., სახელმწიფოში ფულის სარგებლის სიდიდის შემცირება ადიდებს მიწის ფასს. ვთქვათ, დღეს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი 5 პროცენტს სარგებელს იძლევა და ერთი დესეტინა მიწა 5 მანათ რენტას. ფულის პატრონი ამ მიწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სათხოვარმა კიდევ გამოიწვია ხმოსნებში საბჭოსათვის სავალალო საქმეზე ლაპარაკი. ხმ. ა. ზაბოვი ურჩევდა: სანამჯერ სახელოსნო სასწავლებლის შესახებ საქმეთა ვითარების ამბავი საბჭოს არ მოჰხსენებია, ეს სათხოვარიც ბ-ნ ოჰანეზოვისა მანამდე გადავდოთო, მაგრამ სრულებით წინააღმდეგი აზრი გამოსთქვეს ხმოსნებმა ი. მ. ალიხანოვმა, თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკიმ და სხვებმა; ესენი ამბობდნენ: თუ არა ა. ოჰანეზოვის ურჩობა და წინდაუხედაობა, სახელოსნო სასწავლებლის საქმეები ისე არ აიწეწებოდა და გაჭირვებაში არ ჩავარდებოდა არც სახელოსნო სასწავლებელი და არც ადმინისტრაციის განკარგულებით დღეს გაუქმებული საბჭოს მიერ ამ სასწავლებლის გამგედ არჩეული კომიტეტი სახიფათო მდგომარეობაში არ ჩავარდებოდნენო. ბ-ნი ოჰანეზოვი მოიწვია სახელოსნო სასწავლებელში სამსახურისათვის კომიტეტმა—საბჭოს რწმუნებულმა დაწესებულებამ. როცა ამ კაცის სამსახური საჭიროდ აღარ დაინახა კომიტეტმა და გამოუცხადა თავისუფალი ჰხართო, ბ-ნმა ოჰანეზოვმა ამ განკარგულებას ყურიც არ ათხოვა, პირ-იქით, კომიტეტის მიერ სასწავლებლის დროებით მმართველად არჩეული კაცი არც კი მიუშვა საქმეებზე და ამ დღიდან თავის ნებობა დაიწყო სასწავლებელშიო. ის კაცი, რომელიც ქალაქის წარმომადგენელთა განკარგულებას ასე ექცევა, ღირსი არ არის იმისა, რომ დღეს საბჭოს ყურადღება მიიღოს მით უფრო, რომ სამის თვის სამსახური ბ ნ ოჰანეზოვისა სრულიად ძალად სამსახურიაო. საბჭომ ერთ-ხმად უარ-ჰყო გამგეობის მოხსენება ბ-ნ ოჰანეზოვის სათხოვარის დაკმაყოფილების შესახებ.

შარშან საბჭომ მიანდო გამგეობასა და საფინანსო კომისიას ერთად შეემუშავებინათ იმის წესები, რომ ქალაქის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა დროზე შემუშავდეს და დასამტკიცებლად საბჭოს წარმოედგინოსო. გამგეობისა და საფინანსო კომისიის შეერთებულ სხდომას განუხილავს ეს საგანი და შეუმუშავებია იმის წესები, თუ როგორ და რა დროს განმავლობაში უნდა შეადგინოს გამგეობამ ყოველ წლისათვის ხარჯთ-აღრიცხვანი, რომ საბჭომ დროზე განიხილოს და დროზე გუბერნატორს წარუდგინოს დასამტკიცებლად. საბჭომ დაამტკიცა შეერთებულ სხდომის მოხსენება.

„უმწეო ბავშვთა მზრუნველ საზოგადოებას“ რამდენიმე თავ-შესაფარი აქვს დაარსებული ქალაქის სხვა-და-სხვა უბანში, სადაც ღარიბი, უმწეო ბავშვები მთელი დღე რჩებიან, სწავლა-საქმიანობაში არიან და საღამოობით-კი მიდიან. საპერნი ქუჩაზე 1-ლი ამისთანა თავ-შესაფარი, სადაც 50-მდე ბავშვია თავ მოყრილი და ამაზე მეტი რიცხვი აღარ შეიძლება მიიღოს სამზრუნველომ, რადგან მეტად ვიწროობაა ამ თავ-შესაფარში—სულ ორი ოთახი ყოფილა. ამასთანავე სახლის პატრონიც აღარ ჰყენებს თურმე, არ მინდა თავ-შესაფარი იყოს ჩემ სახლშიო. თავ-შესაფარის სამზრუნველოს თხოვნით „საზოგადოება“-ს ქალაქისათვის მიუმართავს, ვერის ხიდთან გრ. ყორღანოვის მიერ დათმობილ ადგილში მოგვიჭერით 250—300 საჟენი მიწა, რომ თავ-შესაფარისათვის საკუთარი სახლი ავიშენოთ და უფრო მეტ რიცხვ უმწეო ბავშვთა დახმარება აღმოვუჩინოთო. საბჭო დიდის თანაგრძნობით მიეგება „საზოგადოების“ სათხოვარს, მაგრამ ადგილის მოჭრა მაინც ვერ სცნო შესაძლებლად, რადგან ქალაქს, სამწუხაროდ, ძლიერ ცოტა აქვს თავისუფალი ადგილები და, ვინ იცის, რა საჭიროება მოგვადგება კარზე და იმის დაკმაყოფილებას ვერ შევსძლებთო; უკეთესია სხვაფრივ დახმარება აღმოვუჩინოთ ამ „საზოგადოება“-ს და ადგილს-კი ნუ მოვუჭრითო. როგორც გამგეობის ცნობებიდან აღმოჩნდა, ქალაქი ამ „სამზრუნველო საზოგადოება“-ს ყოველ წლივ 50 თუმანს შემწეობას აძლევს.

საბჭომ უარი უთხრა სათხოვარზე.

დასასრულ სასწავლებელთა გამგე კომისიის წევრნი აირჩია საბჭომ. კომისიაში მოხვდნენ შემდეგნი: 1) ანდრეევი (32—11), 2) არღუთინსკი-დოლგორუკოვი თავ. ა. მ. (39—4), 3) ზაბოვი ა. ს. (35—8), 4) ვაწაძე ს. ი. (33—10), 5) დოლუხანოვი პ. მ. (33—10), 6) იოანისიანი რ. ა. (30—13), 7) ლისიციანი ს. მ. (28—15), 8) მელიქ-ბეგლიაროვი ი. ა. (33—10), 9) მიქელაძე თავ. ვ. ს. (36—7), 10) თუმანოვი თავ. დ. ნ. (35—8) და 11) ქახანოვი მ. ზ. (30—13).

შემდეგი კრება დანიშნულია აღდგომის კვირაში, ოთხშაბათს 9 აპრილს, ქალაქის მოურავად ახლად არჩეულის თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით.

წერილები კავკავიდან

I

ქართული წარმოდგენები

კავკავის ქართველთა ცხოვრებაში ერთი ფრიად სასიამოვნო ამბავი უნდა აღვნიშნოთ. აქაურ ქართულ სკოლასთან შესდგა სცენის მოყვარეთა მუდმივი წრე.

ამ წრეს აზრადა აქვს აღძრას აქაურს ქართველებში მშობლიურ სცენისადმი სიყვარული, შეუწყოს ხელი იმათ გონებრივსა და ზნეობრივს განვითარებას და მიაწოდოს ხალხს სასიამოვნო და სასარგებლო დროს გატარება. წარმოდგენები გაიმართება ქართულ სკოლის სასარგებლოდ და ამნაირად ეს კეთილი საქმე ხელს შეუწყობს ჩვენის სკოლის ეკონომიურ წარმატებასაც. პირველად წარმოდგენილ იქმნა ა. ცაგარლის პიესა „ციმბირელი“ ქართულ სკოლის დარბაზში 15 თებერვალს. ფასები ძლიერ იაფი იყო. მეორე დღეს, კვირას, 16 თებერვალს, ხელ ახლად გაიმეორეს ეს პიესა. ხალხი მოწვეული იყო უფასოდ. ორსავე წარმოდგენას (ფასიანს და უფასოს) დაესწრო 900 კაცამდე და შემოსავალი იყო 120 მანეთამდე. მეორე წარმოდგენა გაიმართა 23 მარტს ქალაქის თეატრში. წარმოადგინეს პირველად კავკავის სცენაზე ისტორიული დრამა დ. ერისთავისა „სამშობლო“. 25 მარტს ეს პიესა განმეორებულ იქმნა. პარტერში ფასები ამ დღეს ძლიერ დაკლებული იყო და ქანდარა, ბალკონი და ლოჟები დაეთმოთ უფასოდ აქაურის აპშერონის რაზმის ქართველ ჯარისკაცებს, ქართულის სკოლისა და საკვირაო სკოლის მოწაფეთ და დ. ზ. სარაჯიშვილის ქარხნის მუშებს. უფასოდ 400 სულამდე დაესწრო (მათ შორის 150 კაცი ქართველი ჯარისკაცი იყო). „სამშობლო“-ს პირველ წარმოდგენისაგან შემოვიდა 450 მან. და მეორე წარმოდგენის შემოსავალმა მხოლოდ დაჰფარა ამ დღის ხარჯი.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ისეთი რთული და ძნელი პიესა, როგორიც არის „სამშობლო“, წარმოდგენილი იყო მწყობრად და რიგიანად, რისთვისაც რეჟისორი თ. იას. მერ. ლორთქიფანიძე დიდის ქების ღირსია. განსაკუთრებით კარგად იქმნა შესრულებული უმთავრესი როლები. ქ-ნ ელ. ელ. გვარამაძისამ (ქეთევანი), ბ-ნ ნიკ. კურდღელაშვილმა (ლევან ხიმშიაშვილი) და ბ-ნმა არჩილ ავალიშვილმა (სვიმონ ლეონიძე) მშვენივრად შეასრულეს თავიანთი როლები. სხვა მომქმედ პირებში უნდა აღვნიშნო მხოლოდ ამ წელში გამოსული სცენაზე ოლგა მოზდოკელის ასული („ციმბირელში“—ნარგიზა, „სამშობლო“-ში—ფაიხოში), რომელიც, თუ ეცდება, აქაურ სცენის დამამშვენებელ მსახიობად შეიძლება გახდეს. დანარჩენ მომქმედ პირებზე მოვილაპარაკებთ შემდეგში, რადგან იმედი გვაქვს, რომ იმათ არა ერთხელა ვნახავთ აქაურს სცენაზე. განზრახვაა, რომ ქართულ სკოლასთან ამ ზაფხულს დაიწყონ სათეატრო დარბაზის აშენება. ამ საქმის მოთავეებმა გიორგი ნათაძემ, იოსებ შვილევმა და სტეფანე ელიაძემ თუ ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანეს, მაშინ წარმოდგენების საქმეც უკეთესად მოეწყობა და ჩვენს სკოლასაც შემოსავლის წყაროც გაუჩნდება.

ამნაირად მოსალოდნელია, რომ ჩვენ ქართულ სკოლას და ეკკლესიას ქართული თეატრიც მოემატება. როდესაც ხალხის აღზრდის და განვითარების ეს სამი საუკეთესო იარაღი შეერთდება და ერთად იმოქმედებს, მაშინ ჩვენც უფრო ჩქარის ნაბიჯით წავალთ წინ და მომავალსაც უფრო მეტის ნუგეშით დავუწყებთ ცქერას.

ტოხი

წერილი ფოთიდან

საკრედიტო საზოგადოების კრება

კვირას, 30 მარტს, ძლივს შესდგა წლიური კრება ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. 218 წევრთაგან მხოლოდ 74 წევრი გამოცხადდა, ალბად იმიტომ წინდაწინვე მოელოდნენ, რომ დივიდენდს არას მიიღებდნენ. კრებაზე თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი ნ. ნიკოლაძე. პირველად ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ თავ. ან. ერისთავმა წაუკითხა კრებას მოკლე მიმოხილვა ბანკის მოქმედების შესახებ წარსულ წელს. როგორც მიმოხილვიდან სჩანს, საზოგადოებას წარსულ წელს მოქმედება გაუძლიერებია და დაუკმაყოფილებია ზოგი იმ მოთხოვნილებათაგანი, რომელიც აღნიშნულია მთავრობის მიერ მომხდარ რევიზიაში.

როგორც ანგარიშიდან სჩანს, 1902 წელს საზოგადოებას დაუტრიალებია სულ 19.249008 მ. 86 კ., წინა წელთან შედარებით მეტი 4.434412 მ. და 20 კ. ამავე დროის კასის შემოსავალი უდრის 7.133,724 მან. და 81 კ. მეტია წინანდელზე 1.712,166 მ. 21 კ.

საბჭოსა და გამგეობის მოხსენების წაკითხვის შემდეგ, კრებამ არ მოისურვა დაწვრილებით ანგარიშის განხილვა და სარევიზიო კომისიის მოხსენების წაკითხვის შემდეგ ანგარიში ერთ-ხმად დაამტკიცა. შემდეგ კრებამ განიხილა და დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა. დასასრულ არჩევნები უნდა მომხდარიყო, მაგრამ კრებამ ისევ საბჭოსა და გამგეობის ძველი წევრები დასტოვა.

ი. იანეთელი.

დაბა-სოფლები

მაკვანეთი (გურია). 1891 წელს მაკვანეთში დაარსდა ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელიც წლეულს იანვრის პირველიდან ორ-კლასიანად გადაკეთდა. 1901 წელს დაარსდა სასოფლო შემნახველ-გამსესხებელი ბანკი, რომლის მოკლე ანგარიში „ცნ. ფურც.“-ში უკვე დაიბეჭდა. ახლა მაკვანეთელები მშვენიერ ქვის ეკკლესიას აშენებენ თავიანთ ხარჯით. მომავალ ზაფხულს უნდა ააშენონ ორ-კლასიან სასწავლებლისათვის ახალი შენობა, რასაც ას თუმნამდის დასჭირდება, ძველ სკოლის შენობის გარდა, რომელიც მასალად მოჰხმარდება. ხაზინა 200 მანეთს იძლევა ამ შენობისათვის. მომავალ ენკენისთვიდან ამავე სასწავლებელში მაკვანეთელები აარსებენ სამეურნეო განყოფილებასაც და ამას გარდა აზრადა აქვთ საკვირაო სკოლისა და პატარა სამკითხველოს დაარსებაც. ძალიან კარგი იქმნება, მაკვანეთის ორ-კლასიან სკოლასთან დაარსდეს ჭრა-კერვის განყოფილებაც. ასეთი განყოფილება დიდად და დიდად საჭიროა. იმედია, სახალხო სკოლების ინსპექტორი ყურადღებას მიაქცევს ამას.

აქეთ გამოზაფხულდა. ხეხილებმა კარგა ხანია გამოიყვავილა. აგერ დღეს მშვენიერი ჟუჟუნა წვიმაც დაიწყო და გურულებმაც შეიტანეს კვები აქა-იქ. ჯერ კიდევ ცივად და ცრიდად ეგიდებიან

ში მემამულეს 100 მანათზე მეტს არ მისცემს, რადგან მიწა 5 მანათზე მეტს რენტას არ იძლევა და ამ სარგებელს კი ფულის პატრონი სახელმწიფო ქაღალდის შეძენითაც მიიღებს წლიურად. მაგრამ, აი, ხვალ სახელმწიფომ კონვერსია მოახდინა და 5%-ის მაგივრად 4%-ს იძლევა; ამ შემთხვევაში მიწას ფასი ემატება, რადგან იგი წინანდელ რენტას (5% ს) იძლევა; კაპიტალისტიც იყიდის ამ მიწას 125 მანათად, რადგან ეს ფული 5 მანათზე მეტ სარგებელს ვერ მისცემს, რომ სახელმწიფოს ქაღალდი შეიძინოს, და ამდენს კი მიწაც მისცემს წლიურად. მიწის ფასს ადიდებს ხალხის გამრავლება და, მაშასადამე, გლეხობაში მიწის სიმცირე. გლეხი თავის შრომას არ აფასებს,—იმას უნდა უპირველესად თავის გამოკვება და არა მოგების მიღება. ამიტომ ის ხშირად ისეთ ფასს აძლევს მემამულეს, რომელსაც ანგარიშიანი კაპიტალისტი ვერ გაიღებდა და სხვა-და-სხვ.

მიწით სპეკულაციის გაძლიერებას ხელს უწყობს გლეხების უვიცობა, ბანკის აგენტების სიმცირე, ბიუროკრატიული ფორმალიზმი და გვიანობა. მემამულეს, როცა მამულს ჰყიდის, ეჩქარება ფულის მიღება. იმას არ უნდა ან არ შეუძლიან ბანკის გარდაწყვეტილებას უცადოს, სხვა-და სხვა ფორმალური პირობები შეასრულოს. ამიტომ იგი სიამოვნებით აძლევს მამულს სპეკულიანტს, რომელიც ფულს ნაღდად უთვლის. მაგრამ ყველა ეს არის ისეთი გარემოება, რომლის გაუმჯობესება შესაძლებელია. იგი არ შეადგენს საგლეხო ბანკის ძირითად მხარეს, რომ მისი საფუძვლით შეგვეძლოს თვით ბანკის უარის ყოფა.

ბ-ნ ნ—ელს-კი არა სწამს, რომ საგლეხო ბანკს რაიმე სარგებლობა მოეტანოს რუსეთის გლეხობისათვის. დღიდან დაარსებისა 1901 წლის 1 იანვრამდი ამ ბანკს გაუცია გლეხებზე სესხად 245 მილიონი და 107 ათასი მანათი. ამ ფულით გლეხებს შეუძენიათ 5 მილიონი და 102 ათასი დესეტინა მიწა საკუთრებად. გარდა ამისა ბანკს მიუცია გლეხებისთვის ცალკე, მისგან დამოუკიდებლად ნაყიდ მიწებში (66 ათასი დესეტ.) 2 მილიონი და 807 ათასი მანათი. ბანკს გაუყიდნია თავის ანგარიშით ნაყიდი 16 მილიონის მიწა უმთავრესად გლეხებზედვე. ყველა ეს ბ-ნ ნ—ელის გლეხობისთვის სასარგებლოდ არ მიაჩნია. რა გამოვიდაო, ამბობს ის, გლეხებმა მიწები შეიძინეს, მაგრამ ეს მიწები მათთვის საზარალოაო. მართალია ეს? ავიღოთ მაგალითი. მიწის ფასმა უდიდეს წერტილამდის მიაღწია 1900 წელს. ამ წელს საშუალო რიცხვით დესეტინა მიწა უყიდიათ გლეხებს 83 მანათად. როცა 51 წლით და 9 თვით იღებს გლეხი ბანკისგან სესხს, უნდა უხადოს წლიურად 6%. ამით იგი სარგებელსაც იხდის და მიწის ვალსაც სწყვეტს. 83 მანათისთვის, ე. ი. ერთ დესეტინისთვის იმას უწევს წლიურად გადასახადი 4 მან. და 98 კაპ. იჯარით რომ აეღო მიწა, უნდა ეხადა იჯარად, როგორც ზევით აღვნიშნეთ, 6 მან. და 30 კაპ. ახლა იხდის ამაზე ნაკლებს,—ამით სარგებელსაც იხდის და ვალსაც იშორებს, ასე რომ ბოლოს მიწა უვალოდ დარჩება. ნუ თუ ეს სარგებლობა არ არის? საკვირველია, რომ ჩვენში ყველაფერი „სასპოროდ“ გახდება ხოლმე!

შეიძლება, ბ-ნი ნ—ელი ცოტა სარგებლობას არ სთვლის სარგებლობად. მე, მართალი მოგახსენოთ, ეჭვი შემდის, რომ იგი ისეთის შეხედულებისაა. მაგალ., იგი სწერს: „ნუ თუ მას შემდეგ, რაც მიწამ საქონლის ხასიათი მიიღო, ალებ მიცემობის საგანი შეიქმნა, შესაძლებელია რამე ზომებით შევაჩეროთ მისი უთანასწოროთ განაწილება“? მიკვირს, საიდან გამოიყვანა ბ-ნმა ნ—ელიმ ის აზრი, რომ მე ვითომ საგლეხო ბანკი მიმაჩნია ისეთ დაწესებულებად, რომელიც შეაჩერებს მიწის უთანასწოროდ განაწილებას! აბა როგორ მომივიდოდა ასეთი ბავშური აზრი! თუ მე ვამბობ, საგლეხო ბანკი სასარგებლო იქმნება მეთქი, ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ იგი მიმაჩნდეს პანაცეად და ეკონომიურ თანასწორობის დამმყარებლად. არ ვიცი, რისთვის დასჭირდა ბ-ნ ნ—ელის ასეთი თავის თავად საგულისხმო აზრის ასე რიხიანად გამოთქმა. აი თუნდა მეორე ადგილი: „სახელმწიფო მიწების დარიგებით გლეხის მეურნეობა ფეხზე ვერ წამოდგება, თუ სხვა პირობებიც არ იქმნა შეცვლილი“, ამბობს იგი იმგვარისავე რიხით. მერე არ ვიცი, ვისთვის უნდა შეადგენდეს ეს ახალს ან საცილობელ საგანს! რასაკვირველია, გლეხს თუნდა 100 დესეტინა მიწაც რომ ჰქონდეს, მეურნეობას ვერ გააუმჯობესებს და წელში ვერ აიწევა, თუ, მაგალითად, იმ ადგილას გზა არაა და ნაწარმოების გასაღება არ შეუძლიან.

საზოგადოდ კარგი იქმნებოდა, რომ ბ-ნი ნ—ელი მარტო „Русск. Вѣд.“-ის 30 სტრიქონიან შენიშვნას არ დაკმაყოფილებოდა და ცდილიყო საგნის უფრო გულდასმით და საფუძვლიანად გარკვევას. მაშინ ჩვენს კამათსაც მეტი მნიშვნელობა და მეცნიერული ინტერესი ექმნებოდა.

მაგრამ, როგორც ეტყობა, იმას არა ჰქონია დრო ამისათვის. ჩემი ერთთაბახიანი ბროშურაც-კი ვერ წაუკითხავს ყურადღებით, რასაკვირველია, იმავე უდროვობისა და მოუცლელობის გამო. მაგალ., თავის წერილის დასაწყისში ბ-ნი ნ—ელი სწერს: „ეს მოხსენება (ე. ი. ჩემი) იბეჭდება სამეურნეო საზოგადოების გაზეთში და ცალკე ბროშურადაც გამოვიდა. ცნობები ავტორს ამოღებული აქვს თ. მ. ვ. მაჩაბელის შრომიდან, რომელიც მართლა საგულისხმო ცნობებს იძლევა გლეხთა ცხოვრების შესახებ“. წავიკითხე ეს და, მართალი მოგახსენოთ, გავწითლდი,—გავწითლდი ჩემ მაგიერ და სამეურნეო საზოგადოების მაგიერადაც. უნებურად გამახსენდა კრილოვის ერთი იგავი. თუ რომელი იგავია ეს, ამის გამოცნობა თვით ბ-ნ ნ—ელისთვის მიმინდვია...

ფ. გოგიჩაიშვილი

ნამდვილ ყანის მუშაობას. აქა-იქ ყვავილი მძვინვარებს, მაგრამ უზარალოდ. ამ დღეებში მაკვანეთში მ. თოიძის 7 წლის ქალიშვილი ცეცხლში დაიწვა გაუფრთხილებლობით; ცეცხლი კაბის კალთაზე მოეკიდებია და გულ-მკერდი გამოსწოდა. ორი დღე-და იცოცხლა.

ამას წინად ბოროტ-განმზრახველებმა აგრონომის თავ. ერ. ნაკაშიძის სახლი გაძარცვეს და წაიღეს 700 მანეთის ნივთები. როგორც გავიგეთ, პოლიციას ორი ბოროტ-მოქმედი უკვე შეუპყრია.

მესხი გ. გვარამაძე

ს. ავლევი (ქართლი). 25 მარტს, ხარების დღეს, უბედურება მოხდა აქ: სასიკვდილოდ დაიჭრა აზნ. ივანე ბადრიაშვილი. საქმე ასე ყოფილა: ღამის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც ივანე ბადრიაშვილის სახლს მიადგნენ მეჭონეები და შემოსძახეს მხიარული სიმღერა; ბადრიაშვილის სახლის კარებიდან გამოაწოდეს ერთი კვერცხი, მეჭონეებმა გამოართვეს, მადლობა გადაუხადეს და მივიდნენ ახლა სხვასთან; იქაც უმღერეს ჭონა და ასე ამ რიგად გადადიოდნენ ერთი სახლიდან მეორესთან, როგორც ჭონის წესია. როდესაც მეჭონეები მივიდნენ მერვე თუ მეცხრე სახლთან, გაუმართავ ოთახიდან გამოუვარდათ იმათ მოულოდნელად ცალ-ხელში ხანჯლით და მეორე ხელში მარჯვე კეტით ნასვამი ივანე ბადრიაშვილი და შესძახა, აღარ დაგვაძინეთ, თქვენ ასეთ-ისეთებოო და დაუშინა კეტი. მეჭონეები გაქცეულან, მაგრამ ბადრიაშვილი უკან გამოსდგომიათ, და ამ დროს დაუჭრიათ. ბადრიაშვილი მეორე ღამეს გარდაიცვალა.

მზე-ჭაბუკა

სასამართლო

სიყალბე

ამას წინად ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ ახალციხეში განიხილა საქმე ახალციხის მაზრის მცხოვრების რომანოზ ბეროზაშვილისა და იმის მეუღლის მართასი, რომელთაც სიყალბის ჩადენა ჰბრალდებოდათ. მართას ძმები ქიმერიძეები შეძლებულნი ყოფილან. როდესაც ერთი ძმა გადაცვლილა, ქმრის რჩევით, მართას ძმისათვის უთხოვნია ფულით დახმარება, რადგან დედამისის ქონებით მარტო ისა სარგებლობდა. ძმას, დიმიტრი ქიმერიძეს, უარი უთქვამს. ამის შემდეგ ცოლ-ქმარს მოუმზადებიათ ყალბი 1000 მანეთიანი თამასუქი; თამასუქში აღნიშნული იყო, ვითომ დიმიტრის დისა და სიძის 1000 მანეთი ჰმართებია. რადგან დიმიტრი ქიმერიძეს ეს ფული არ გადაუხდია, ცოლ-ქმარს სასამართლოსათვის მიუმართავს. ქიმერიძის თხოვნით შესდგომიან გამოძიებას და გამორკვეულა, რომ იმას ერთი გროშიც არა ჰმართებია ბეროზაშვილებისა და რომ თამასუქი დაუწერიათ იმ დროს, როცა ქიმერიძე სურამში სავაჭროდ ყოფილა. თამასუქი შეუდგენია ბეროზაშვილის სიძეს, შორაპნის მაზრის მცხოვრებს ფიცხალაძეს, რომელიც გადაცვლილა საქმის გარჩევამდე, რის გამოც იმას შესახებ საქმე მოუსპიათ. ოლქის სასამართლომ მართა გაამართლა, ხოლო იმის ქმარს, რომანოზ ბეროზაშვილს, გადაუწყვიტა ყოველსავე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართ-გამასწორებელ რაზმში $1\frac{1}{2}$ წლით გაგზავნა.

წვრილი ამბები

შეწირულებაც ამისთანა უნდა. ცნობილმა ამერიკელმა მილიონერმა ანდრიუ კარნეჯიმ დიდძალი ფული შესწირა სხვა და სხვა დაწესებულებას; ყველაზე მეტი კი ბიბლიოთეკებისათვის შეუწირავს. ინგლისურ ჟურნალ „თაი ლიბრარი“-ს ანგარიშით, კარნეჯის თითქმის ნახევარი მილიარდი (500 მილიონი) მანეთი შეუწირავს ბიბლიოთეკებისათვის: ინგლისისა და უელსის 50 ბიბლიოთეკას კარნეჯისაგან—3,76 მილიონი მანეთი მიუღიათ, ირლანდიის 10 ბიბლიოთეკას—1 მილ., შოტლანდიის 68 ბიბლიოთეკას—15 მილ., კანადის 31 ბიბლიოთეკას—2 მილ., კუნძულ კუბის 2 ბიბლიოთეკას—$\frac{1}{2}$ მილ., შეერთებულ შტატების 410 ბიბლიოთეკას—425 მილ., ასე რომ ხსენებულ ბიბლიოთეკებს სულ 448 მილ. მანეთი მიუღიათ, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, ამას გარდა სხვა და სხვა დაწესებულებასაც მრავალი ფული შესწირა კარნეჯიმ!

**

იმპერატორ კარლოს მე-V ყუთის პოვნა. ქალ. მეცის ძველ ციხეში უპოვიათ რკინის ყუთი იმპერატორ კარლოს V ღერბით. ყუთი გახსნეს და შიგ დიდძალი მშვენიერ ოქროს ფული, ძველი ჯიბის საათები და სხვა ძვირფასი ნივთები კი აღმოჩნდა. ნაპოვნ ნივთებს 3 მილიონ ფრანკად აფასებენ.

**

ელექტრონის საბანი. ვენაში „ელექტრონის საბნები“ მოუგონიათ და ეხლა მაღაზიებშიაც ჰყიდიან. ეს საბნები მეტად მარტივადაა გამართული. შიგ მეტად წვრილი, თითქმის უჩინარი მავთულები აქვთ ჩატანებული. ეს მავთულები რომ ელექტრონის ლამპას შეუერთოთ, საბანი ერთ წამზე გათბება. ისეთი მოწყობილობაცაა გამართული, რომ ყველას შეეძლოს, როგორც უნდა იმდენად გაათბოს საბანი. საბნებს გარდა, ამ ნაირად პატარა, ფეხ-ქვეშ დასაგებ ხალიჩებსაც ათბობენ, ასე რომ ვისაც კი ჰსურს, შეუძლიან ფეხი ყოველთვის თბილად შეინახოს. უნდათ, რომ ლეიბები და ტახტებიც გაათბონ ამნაირად. ჰფიქრობენ, „ელექტრონის საბნებს“ უსათუოდ ყველა საავადმყოფოებში შემოიღებენო.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 მარტი

მოსკოვი. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი შეუდგნენ საზიარებლად მზადებას. მოისმინეს წირვა სასახლის ეკკლესიაში.

ცეტინიე. შჩერბინას გარდაცვალების გამო მთავარმა სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს.

პეკინი. ქვრივმა დედოფალმა გამოსცა ბრძანება, რომლითაც აქებს იუნლუს. ბრძანებს ისეთივე პატივი სცენ გარდაცვალებულს, როგორიც ლიხუნ-ჩანგსა სცეს.

პარიზი. ლუბე 30 მარტს წავიდა მარსელში. იქიდან მიემგზავრება ალჟირს. ლუბეს თან ახლავან ფილიერი, დელკასსე და პელტანი.

ათინა. სასახლეში საგანგებო სადილი გამართა. მეფემ გადასცა გერმანიის პრინცებს მაცხოვრის პირველ ხარისხის ორდენი.

გარეშე საქმეთა მინისტრმა სკუზესმა ხელი მოაწერა ოსმალეთთან დადებულ ახალ სავაჭრო ხელ-შეკრულებას.

მოსკოვი. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი და დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მეუღლითა და დიდის მთავრის პავლე ალექსანდრეს ძის შვილებითურთ ბრძანდებოდნენ მთავარ ანგელოზისა და ხარების ტაძრებში.

1 აპრილი.

მარსელი. ლუბე დღეს მოვიდა აქ.

კონსტანტინეპოლი. გუშინ რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში პანაშვიდი გადაიხადეს შჩერბინას სულის მოსახსენებლად. დაესწრო დიპლომატიური კორპუსი.

რომი. დღეს გაიხსნა მეშვიდე საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო კონგრესი. დაესწრნენ მეფე, დედოფალი და მინისტრები.

მარსელი. პრეფექტურაში მიღების დროს რუსეთის კონსულმა სთქვა, რომ ყველა სახელმწიფოთა კონსულები ბედნიერად სთვლიან თავის თავს, რომ მარსელელებთან ერთად ლუბეს მიესალმნენ.

პეტერბურგი. მე-14 ლიტვის დრაგუნის მეფის ვიქტორ ემმანუილ III პოლკს, რომელსაც ეხლა 100 წელიწადი შეუსრულდა დაარსებიდან, ხელმწიფე იმპერატორმა ახალი შტანდარტი უბოძა სიუბილეო ლენტით და ზედ წარწერით: „1803—1903“.— სამხედრო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებულ დებულებით განმარტებულია: დანიშნონ საშტატო კათოლიკეთა მღვდლებს და ლუტერანთა მქადაგებელთ ჯამაგირათ წელიწადში 900 მ. და 183 მანეთიც სახარჯოთ 366 მანეთის ნაცვლად, რომელიც წინათ ჯამაგირათ ეძლეოდათ.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსვლის ცხრილი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 06 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ზ. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 სა 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის. № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ.(4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)| 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადება!!

ყვირილის თეატრის

ამხანაგობა

ამით აცხადებს, რომ 1 მაისს მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომლის დროსაც გაიცემა ყვირილის თეატრის შენობის გაკეთებ მარტო ხის ნაწილი, ქვითკირის გარდა, 2.000 მან. ღირებულობისა; მასალა ამხანაგობისა იქმნება. ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებით პირობებისა და გეგმის ნახვა შეუძლიან ქიათურაში, ივანე არდიშვილთან და ყვირილაში, მიხეილ გაჩეჩილაძის წიგნის მაღაზიაში.

ამხანაგობის თავმჯდომარე კნ. ბარბარე წერეთლისა. (10—9)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—14)

ბახმაროს (ოზურგეთის მაზრა) მოაგარაკეთა საზოგადოების კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ მათი თანდასწრებით ოზურგეთის ქალაქის თვით-მმართველობის დარბაზში 15 აპრილს 1903 წ. 12 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რომლით გაიცემა იჯარით ამა წლის სეზონისათვის ბახმაროში საზოგადო დუქანი და ფურნე, სასადილო სახლი და საყასბო. ვაჭრობა იქმნება გადაწყვეტილი გაუმეორებლად. ყოველივე პირობა მსურველთ შეუძლიანთ ინახულონ ოზურგეთის ქალაქის თვით-მმართველობის კანცელარიაში. მსურველთ შეუძლიანთ ივაჭრონ ყველა საგანზე ერთად, ანუ თითოეულზე ცალკ-ცალკე ე. ი. სანოვაგის სავაჭრო დუქანი და ფურნე ერთად, სასადილო სახლი ცალკე და საყასბო ცალკე. (3—3)

ტეხნიკოსი

ზიგო თოიძე

იღებს **შენობების** გეგმათა შედგენას და სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის გამოანგარიშებას ყველასათვის ხელ-მისაწდომ პირობით.

ტფილისი, ჩუღურეთი, გონჩარნი ქუჩა 28. (10—6—10)

ხეხილის ნერგები

საზღვარ-გარეთისა და ადგილობრივ საუკეთესო ხარისხისა იყიდება ზომიერ ფასად **ფარს. იაკ. ავსარქისოვის მამულში.**

ადრესი: უბრალო წერილებისთვის—**სკრა** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგური; ხოლო ფულისა და შეკვეთილ წერილებისა—**გორში,** ფარს იაკ. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. 10—10

წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში

იყიდება 1903 წლის

კალენდრები

1) კედ. კალენდარი ფასი 40 კ.; 2) საქართველოს კალენდარი გუნიასი—60 კ. უყდოდ და 70 კაპ. ყდით. 3) პატარა ჯიბის კალენდარი—20 კ. 4) ჩარკვიანის გამოც. კედლის კალენდარი 40 კაპ.

შეიძლება ფასდადებით გაიწეროთ: Тифлисъ, Грузинское Издательское Т—во, ლორისმელიქოვის ქუჩა.

ცინკოგრაფია

წიგნის. გამოც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 37ა.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდამ.

საყურადღებო განცხადება

თუმცა პასკებს ბევრნი აცხობენ, მაგრამ ჯერ ბევრს არა აქვს შესწავლული ნამდვილი ხელოვნება პასკების კარგად გამოცხობისა, რის გამოც მყიდველი ხშირად სტყუვდება; ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ

არ. ივ. ალიხანოვის

საკანდიტეროში

(ვორონცოვის ძეგლთან)

სააღდგომოდ მზადდება დიდძალი პასკები და კულიჩები.

ჩემს სახელოსნოში პასკები საუკეთესო მასალისაგან კეთდება და ყოველთვის საუკეთესო გემოვნება აქვს, რაშიაც პატივცემული საზოგადოება ძრიელ ადვილად დარწმუნდება; გთხოვთ არ დაუჯეროთ არავის, მარტო ჩემ საკანდიტროში იშოვება ჩემი პასკები და არსად გასასყიდად არ ვაძლევ.

Дрожжевой заводъ К. ШУРЪ.

პატივისცემით **არ. ივ. ალიხანოვი.**

ტელეფონი № 276.

საპონი გოლდენდერ

ვაზელინისა სატუალეტო, პირის დასაბანად საუკეთესო

ერთი ნაჭერი 30 კაპ. ვისაც სურს ნამდვილი ვაზელინის საპონი იყიდოს, უნდა მოიკითხოს მხოლოდ საპონი **გოლდენდერ** სატუალეტო. იყიდება იმპერიის ყველა ქალაქებში—სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში. სავაჭრო სახლი **„პარფიუმ. ლაბორატორია ი. გოლდენდერ“.** პეტერბურგი, რაზიეზჟაია ქუჩა, № 13. (Б. 4—4)

Дозв. ценз. Тифлисъ, 1 апрѣля, 1903 г.

ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)